ხელშეკრულება №53

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი

22 ნოემბერი 2017 წ.

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" (შემდგომ – "ხელშეკრულება") - "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა საფუძველზე შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. "შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ "შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.3. "მიმწოდებელი" ნიშნავს იურიდიული ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

1.4. "ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ხედმიწევნით შესრულებისათვის;

1.5. "დღე", "კვირა", "თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული.

2. ხელშეკრულების დამდები მხარეები

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია:

ერთის მხრივ, ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ა/რ მინისტრის აპარატი, მისი წარმომადგენლის მინისტრის დავით გვაძაბიას სახით (შემდგომში "შემსყიდველი"), და მეორეს მხრივ შპს "თეგეტა მოტორსი" წარმოდგენილი მისი გენ. დირექტორის თემურ კოხოძის სახით, (შემდგომში მიმწოდებელი) შორის.

3. ხელშეკრულების საგანი

3.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს მინისტრის პერსონალური ა/მანქანისთვის (სახელმწიფო ნომერი AW 819 AW) საოადარიგო ნაწილების შეძენა და ტექნიკური მომსახურების შესყიდვა გამარტივებული შეყიდვის საშუალებით ("სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის I თავის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ს[1] ქვეპუნქტის ქვეპუნქტის შესაბამისად).

4. შესყიდვის ობიექტი

4.1. . შესყიდვის ობიექტი განსაზღვრულია დეფექტური აქტით (დანართი1), რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

CPV კოდებია: 09211400, 34330000, 50112200.

5. ხელშეკრულების ღირებულება

5.1. მისაწოდებელი საქონლის (მომსახურების) საერთო ღირებულება შეადგენს 244,0 (ორასორმოცდაოთხი) ლარს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ყველა გადასახადის გათვალისწინებით;

5.2. შესყიდვის ობიექტის რაოდენობა და განფასება მოცემულია ა/მანქანის ტექნიკური მომსახურების ფურცელში (დანართი2), რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს;

5.3. საქონელი (მომსახურება) მიწოდებული იქნება შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველ ორგანიზაციას საქონელი (თანმდევი მომსახურების ჩათვლით) მიმდინარე წლის 25 ნოემბრამდე. იგი პასუხისმგებელია მიწოდებული საქონლის (მომსახურების) ხარისხსა და ვარგისიანობაზე (დროულობაზე);

6.2. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და %ეროვნად შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს მას შესყიდული საქონლის (მომსახურების) ღირებულება;

6.3. შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირებისათვის მიყენებულ ზიანზე ან ზარალზე;

6.4. მიმწოდებელი არ აგებს პასუხს შემსყიდველის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე.

7. მიღება-ჩაბარების წესი

7.1 საქონელი (მომსახურება) მიწოდებულად ჩაითვლება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

8.1. მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს მინისტრის ბრძანების საფუძველზე დანიშნული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებების შესრულებაზე კონტროლის განმახორციელებელი შესყიდვების კოორდინატორი – მინისტრის თანაშემწე ვლადიმერ ყიფიანი.

9. მიწოდებული საქონლის (მომსახურების) ხარისხი და გარანტია

9.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ მიწოდებული საქონელი (მომსახურება) არ იქნება დაზიანებული და იქნება მოხმარებისთვის ვარგისი (შესრულებული იქნება მაღალხარისხოვნად), წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს დაზიანებული და უვარგისი საქონლის (მომსახურების) შეცვლა.

10. ანგარიშსწორება

10.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

10.2. ანგარიშსწორება მოხდება შესაბამისი "მიღება-ჩაბარების" აქტის გაფორმებიდან 05 (ხუთი) საბანკო დღის განმავლობაში;

10.3. ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო. გადარიცხვა მოხდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

11. ფასები

11.1 წინამდებარე ხელშეკრულების მე-5 პუნქტში დაფიქსირებული შესასყიდი საქონლის (მომსახურების) ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრს;

11.2 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრის შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დასაშვებია საცალო ფასის მნიშვნელოვანი ცვლილების, საგადასახადო რეჟიმის შეცვლისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლში გათვალისწინებული პირობების შემთხვევაში, თუ აღნიშნული ცვლილებები არ გამოიწვევს ხელშეკრულების პირობების გაუარესებას შემსყიდველი ორგანიზაციისათვის;

11.3. ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ღირებულების გაზრდის შემთხვევაში მისმა ოდენობამ არ უნდა გადააჭარბოს ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს.

12. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

12.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები;

12.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით

შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს, შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა;

12.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

13. უფლებების გადაცემა

13.1 მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცემს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

14. ფორს-მაჟორი

14.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას;

14.2 ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა;

14.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

15. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

15.1 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების 6.1. პუნქტით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში მას დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 1% ოდენობით;

15.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, პირგასამტეხლოს გადახდა განხორციელდება მიმწოდებელზე ხელშეკრულებით გადასახდელი თანხიდან გამოქვითვის საშუალებით;

15.3 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

16. ხელშეკრულების შეწყვეტა

16.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ;

16.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეცოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე;

16.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან;

16.4 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

17. დავების გადაწყვეტის წესი

17.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა დონეს იხმარენ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ;

17.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

18. სხვა პირობები

18.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია 2017 წლის 22 ნოემბრიდან 2017 წლის 30 დეკემბრის ჩათვლით;

18.2 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად და ორივეს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

19. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში	შპს „თეგეტა მოტორსი"
აფხაზეთის ა/რ მინისტრის აპარატი ს/კ 205315513	ს/კ 202177205
მის: ქ. თბილისი, ალ ყაზბეგის გამზ. 42	მის:ქ.თბილისი,დ.აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ
საბანკო რეკვიზიტები:	**საბანკო რეკვიზიტები:**
თბილისის ხაზინის ერთიანი ანგარიში	ს. ს "თი ბი სი ბანკი"
ბანკის კოდი TRESGE22	ბანკის კოდი TBCBGE22
	ა/ა: GE80TB0600000024467853
საკონტ. ტელ.: 239 41 13	საკონტ. ტელ.: 2244444
მინისტრი	გენ. დირექტორი
დ. გვაჯაბია	თ. ჯოხოძე

დანართი 1

დეფექტური აქტი

21.11.2017 წ.

ავტომანქანა TOYOTA LANDCRUISER 100 სახ. ნომერი AW 819 AW

სამოქალაქო თანხმობისა და კონფლიქტების დარეგულირების საკითხებში აფხაზეთის ა/რ მინისტრის აპარატის ბალანსზე რიცხულ მინისტრის პერსონალურ ა/მანქანას TOYOTA LANDCRUISER 100 სახ. ნომერი AW 819 AW ჩაუტარდა ტექნიკური დათვალიერება, რის შედეგადაც დადგინდა და გამოვლინდა, რომ შესასრულებელია ქვემოთ ჩამოთვლილი სამუშაოები

№	საქონლის დასახელება	ზომის ერთეული	რაოდენობა	შენიშვნა
1	ტრანსმისიის ზეთი	ლიტრი	1	
2	უკანა მორგვის ჩობალი	ცალი	2	
3	თანმდევი მომსახურება			

ა/მანქანის დათვალიერებაზე

პასუხისმგებელი პირი

ნდობის აღდგენისა და შერიგების

საკითხებში აფხაზეთის

მინისტრის აპარატი

დანართი 2

ა/მანქანის ტექნიკური მომსახურების ფურცელი

ა/მ მარკა, მოდელი TOYOTA LANDCRUISER 100 თარიღი: 22.11. 2017 წ.

სარეგისტრაციო ნომერი: AW 819 AW

№	შესრულებული სამუშაო	ზომის ერთეული	რაოდენობა	ერთ. ფასი	საერთო ღირებულება	შენიშვნა
	სათადარიგო ნაწილები					
1	ტრანსმისიის ზეთი	ლიტრი	1	50.0	50.0	
2	უკანა მორგვის ჩობალი	ცალი	2	27.0	54.0	
	მომსახურების ღირებულება				140	
	ჯამი:				244.0	

შემსყიდველი:

ნდობის აღდგენისა და შერგების საკითხებშიაფხაზეთის ა/რ მინისტრის აპარატი

მინისტრი

დ. ბეჟანია

მიმწოდებელი:

შპს „თეგეტა მოტორსი"

გენ. დირექტორი

თ. კოხოძე